# ცნობის ფურცელი

№ 2083 შაბათი, 1 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2083

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ყანჩის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 40.. ტელეფონი 617

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართული თეატრი

კვირას, 2 მარტს 1903 წ.

✡ დაკლებულის ფასებით ✡

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ კოტე ყიფიანის მონაწილეობით ◆

I

დ ა - ძ მ ა

ისტორ. დრამა 5 მოქ. მეგრელთა ცხოვრებიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ელ. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი, ხუციშვილი და სხვ.

ადგილების ფასები: ლოჟები 4 მან. 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 2.-მ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ-დან 35 კ მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „მურად-ფაშა", „ოტელო", „ქეთევან წამებული", „მედეია".

რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე:

დილით:

მ. ი. ჟიჟიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

ლ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—საფილისოსა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

თავმჯდომარე

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკისა

ამით ვაცხადებ, რომ ვისაც ჰსურს დააგიროს ქუთაისის ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლისა და ქალაქების უძრავი მამულები, შეუძლიან მიჰმართოს ბანკის მმართველობისაგან აგენტად დანიშნულს ნ. ს. ზუბუშვილს, რომელიც სცხოვრობს სტფილიში, ცერკოვნი ქუჩაზე, № 22.

თავმჯდომარე მმართველობისა გ. მელნიკოვი.

(ნ. 3—2)

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საღგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, მოხდება რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განყოფილების ნამდვილი წევრი სამთო ინჟენერი მ. ა. შოსტაკი წაიკითხავს მოხსენებას თავის მოგზაურობის შესახებ რაჭასა და სვანეთში. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დასწრება: შესვლა უფასოა.

(უ. 3—1)

## საზღვარ-გარედ

—

**მაკედონია.** როგორც მოხსენებული გვქონდა, მაკედონიის რეფორმების პროექტმა, რომელიც ავსტრია-რუსეთმა წარუდგინეს ბრწყინვალე პორტას, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ ბოლგარიაში. ოფიციალური წრეებიც-კი მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ მოვიცადოთ, რა შედეგი მოჰყვება რეფორმების განხორციელებას ან როგორ მიიღებენ მათ თვით მაკედონელებიო. რეფორმების განხორციელების შედეგზე ლაპარაკი ჯერ ადრეა; მაგრამ მაკედონელები რომ ეხლავე დიდად უკმაყოფილონი არიან, ეს ცხადია: დიდ-ძალი იარაღი შედის თურმე მაკედონიაში, რევოლიუციონერები არ ისვენებენ და აჯანყებულთა ბრბოებს ადგენენ; უკვე რამდენიმე შეტაკება ჰქონია ამ ბრბოებს ოსმალეთის ჯარებთან: მონასტირის ახლო რევოლიუციონერები შეტაკებიან ოსმალელ ჟანდარმებს, მოუკლავთ მათი უფროსი და დანარჩენები გაუქცევიათ; ვლადიმირკოს ახლოც-კი ოსმალების რაზმს გაუმარჯვნია და რევოლიუციონერები გაქცეულან, როგორც ეს გუშინდელ დეპეშაში იყო მოთხრობილი. ასეთი შემთხვევები ისევ გახშირდა ამ ბოლოს დროს, იუწყებიან დეპეშათა სააგენტოები. ცხადია, რომ განზრახული რეფორმა სრულებით ვერ აკმაყოფილებს მაკედონელებს ჲ თავის მიზნის მისაღწევად იარაღს ჰკიდებენ ხელს.

ერთი საბედისწერო მხარე აქვს მაკედონიისა და საზოგადოდ მთელ ბალკანეთის საქმეს: პატარა სამთავროები მზად არიან ერთმანეთის სისხლი დალიონ; ოღონდ მეტოქეს არ გაამარჯვებინონ და დამონებულ მაკედონელების ბედს არ დაგიდევენ. იმ დროს, როცა მთელი ბოლგარია აღელვებული და აღშფოთებულია განზრახულ რეფორმების უვარგისობითა და შეუფერებლობით, საბერძნეთი კმაყოფილია, რომ მაკედონიას ავტონომია არ მიენიჭა—ბოლგარია ვეღარ გაიმარჯვებს მაკედონიაშიო. საბერძნეთი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად იარაღით ხელში შეეტაკა ოსმალეთს თავის ეროვნულ ინტერესებისათვის, დღეს უმეგობრდება მაკედონიის მტარვალს და ეს მეგობრული განწყობილება იქამდე მიდის, რომ ბრწყინვალე პორტას თავისუფლად მიჰყავს თავის ჯარი საბერძნეთის საზღვრებიდან და ბოლგარიის საზღვარზე აყენებს.

ასეთ პირობებში შეუძლებელია, რომ მაკედონიის მდგომარეობას რაიმე რადიკალური წამალი დაედოს. სანამ არ შეთანხმდებიან ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები, სანამ არ მომწიფდება აზრი ამ სახელმწიფოების ფედერაციისა, გამარჯვებული ოსმალეთის მთავრობა იქნება, კმაყოფილი „მოკეთე" მეზობელი სახელმწიფოები დარჩებიან. საუბედუროდ, ეს შეთანხმება და ფედერაციის აზრის მომწიფება ჯერ შორს არის. მაგრამ აუცილებელი საჭიროება, რეალური ინტერესები, პოლიტიკური სინამდვილე იმდენად ძლიერია, რომ ეხლა გადამტერებული ბალკანეთის სახელმწიფოები იძულებული იქმნებიან ერთმანერთს ხელი გაუწოდონ და შეერთებულის ძალით ამოქმედონ ოსმალეთისა და „მოკეთეების" წინააღმდეგ.

**ავსტრია.** ვენის გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესსე"-ში მოთავსებულია მოგონებანი ბარონ-გოლდფერტისა ეხლა-ხან გარდაცვლილ რიგერის შესახებ: „მე გავიცანი რიგერი ორმოციან წლებში პრაგის უნივერსიტეტში, სადაც ერთად ვისმენდით ლექციებს. იმ თავითვე იცნობდნენ მას მთელ პრაგაში და თითით უჩვენებდნენ. რაღაც სულ უბრალო მიზეზის გამო რიგერი ჩარიეს ერთ პოლიტიკურ საქმეში და ციხეშიაც ჩასვეს. ამ გარემოებამ მას სახელი შესძინა და საზოგადოების ყურადღება დაუმსახურა: იგი წამებული იყო პოლიტიკურ საქმისათვის. მეორე შემთხვევამ კიდევ მეტი სახელი შესძინა ახალგაზდა რიგერს: მან წარმოადგინა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისაღებად და უნდა დაეცვა იგი, რასაკვირველია, გერმანულ ენაზე; მაგრამ რიგერმა აქაც გამოიჩინა თავი: დაითანხმა პროფესორები და თავისი სიტყვა ჩეხურ ენაზე სთქვა, რაც არასოდეს არ მომხდარა მანამდე პრაგის უნივერსიტეტში. რიგერის ბიოგრაფიის მიყოლა ავსტრიის პოლიტიკურ ისტორიის მიყოლა იქნებოდა; ამიტომ აქ ცოტა რამეს მოვიყვან: რიგერს ჰქონდა ახლო დამოკიდებულება არა მარტო ჩეხელ მოღვაწეებთან, იგი დაუახლოვდა ცნობილ პოლონელ მამულისშვილებსაც. ამიტომაც იყო, რომ პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა ახალგაზდა რიგერს. საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ რიგერი სახელმწიფო სამსახურში ვერ შევიდოდა და ადვოკატობას მოჰკიდა ხელი. პოლიტიკურ საქმისათვის დატუსაღებულმა და სახელშეძენილმა რიგერმა მთელი თავისი

## ფელეტონი

—

### თელავიდან ბარისახომდის

(დასასრული *)

იქნებოდა თერთმეტი საათი, რომ გამოგვიცვალეს ცხენები და გამისტუმრეს გზას. თან ორი მარჯვე კაციც გამაყოლეს, ცხენები არსაღ გადაგვცვივნოდა. წინადღეს ყოფილიყო ამგვარი შემთხვევა. დამარწმუნეს, ამაზე ადრე გამოსვლა არ შეიძლება, რადგან გზა მეტად გაყინულია და ცხენები ფეხს ვერ იკიდებს; ცოტად მაინც უნდა მოლხვესო. შევუდეგით გზას, მინდა დღეს ხევსურეთის სატახტო ქალაქ ბარისახოში მისვლა, მაგრამ ტყუილად ვნუგეშობ, როგორც ვხედავ. გავიარეთ ხუთი ვერსი და საჭიროდ ვსცანით ფეხით სიარული—ცხენები იფლიდებიან ნამქერებში; კარგა მანძილი ვიარეთ ფეხით და შემდეგ შევსხედით ისევ ცხენებზე. საათის ორამდის არ დაგვისვენია და ძლივს დავუახლოვდით ფშაველის მეორე სოფლის ჩარგალს.

აქ უნდა გაგვევლო არაგვის მარჯვენა ნაპირს ფერდობით; ეს ფერდო პირმზითი იყო, მომლხვალი და პირდაპირ დაშვებული მომჩქეფარ არაგვისკენ; საკმაო იყო ნაბიჯის გადაცდენა ბაწარივით გაჭიმულს ბილიკზე, ან მცირედი ფეხის მოსხლეტამა და დაცურება, რომ პირდაპირ არაგვსა ვსტუმრებოდი დაუპატიჟებლად. მირჩიეს ამ გზით გასვლა, მაგრამ არ დავსთანხმდი, ვარჩიე ისევ შორით ხიდზე მოვლა. გავედი ხიდით მარცხენა ნაპირს და წავედი მეტად ოღრო-ჩოღრო ტინიანის გზით. არაგვს მაღაროს კარიდამ ჩარგლამდის ორსავ მხრივ უდევს ბილიკები; მარჯვენისა არ ვიცი, მარცხენა კი საძაგელია. სულ ფეხით უნდა იარო. საათის ოთხზედ ნაშუადღევს მივედით ჩარგლის ხევს, რომელიც ერთვის არაგვს, აქ ვიგემე მჟავე წყალი, მშვენიერია, ცხვირიდან ბოლს გადენს; მითხრეს, ზევით უკეთესიაო. მზე ჩავიდა და გამომიცხადეს მხლებლებმა, ეხლა ჩვენ ორ წყლამდისაც ვერ ავალთ და რას ინებებთ, აქ ჩარგალს მივბრუნდეთ, თუ წავიდეთო, საშიშიც არის სიარული, მეტად მოჰყინაო. სოფელი ჩარგალი არაგვს გზას უხვევს მარცხნივ სამის ვერსის სიშორით. მე ვარჩიე სოფლად გათევა ღამისა და მივაშურეთ. დაბინდდა და მივედით მამა გ. სანგულოვთან. იმას თუმცა ჩვენი გული არა ჰქონდა (ბალღი გადასცვლოდა წინა დღეებში), მაგრამ სტუმართ-მოყვარეობას ვერ უღალატებდა და ჯეროვანის პატივით მიგვიღო. ღამე გავათიეთ კარგად.

უნდა გითხრათ, რომ მთელის არაგვის ორსავე ნაპირს მდებარე სოფლებში თიანეთიდან დაწყებული ხევსურეთამდის მოდებულია ქუნთრუშა და ყელ-ჭირვება და არამცთუ წვრილ-ფეხობას და მოზარდ თაობას, ქაბუკთაც და ქალ-რძალთაც მუსრს ავლებს. მაღაროს მღვდელი საზიარებლად სწორედ სამჯერ წაიყვანეს იმ ღამეს. „შევწუხდით ამ სანახაობითაო, ანოვიხოცეთ ამ თეებზე უდროო-დრო ხეტიალითაო", შემომჩივლა ამ ორმავე მღვდლებმა. ნეტა არის სადმე ამ ხალხისთვის ექიმი თუ არა? ნუ თუ ქვეყანაზე არ მოიპოვება არაფერი საშუალება, რომ შემცირდეს ეს სენი ამ მხარეში? დიდის გაფაციცებით დავდევთ საქონლის ჭირსა და ხალხი კი უმწეოდ გაგვიშვია, რასა ჰგავს ესა? ასე რომ იმძვინვაროს ამ სენმა, ხომ მთლად მოაოხრებს ამ ხეობას? მემრე აქაური მკვდრის დამარხვა სწორედ უბედურებაა: თითის ტოლა ბალღზედ სამი დღე სომენ,—საზღვარი არა აქვს.

გათენდა მეოთხე დღე ჩემის მოგზაურობისა და ჩვენც შევემზადენით საგზაოდ. მომიყვანეს ახლა ჯორები და თან შუბიანი ხელსაბჯენი ჯოხებით კაცები, ფეხთაც გამოწნული კაპით ქალამნები აცვიათ. ამას ზევით ცოტა ცუდი საველელი გზებია და ცხენი ფეხს ვერ მოიკიდებს, ჯორი ეშმაკია, კლდის შვილია, უბრალოდ თავს არ გაიფუჭებსო. თანაც ყაირები დაუცვლელს საყინულედ ახლად. წავედით გზას; გავიარეთ ხუთი ვერსი ჩარგლიდან, შევხვდით კიდევ დუქანს. ეს ნინოს ძირის დუქანია, ესეც მომართულია არაყითა და ღვინით, მგზავრებს არ შემიცივდეთო.

ღმერთო, რა გულკეთილი ხალხი ყოფილა აქაური მედუქნეები! აბა, თუ არ მეტისმეტი გულშემატკივრობა, ვინ ოხერი გაჰბედავს აქ დუქნის გაღებას?! შევსვით თითო ჭიქა სიმხურვალე; ამბობენ, თუ ვინმე უამისოდ ან აივლის ან ჩაივლის, ქვას გადააბრუნებენ და გზას დაუწყევლიანო, და წავედით ისევ გზას; გავედით ერთს, ორს და სამს ხიდს, ვურიეთ ორგან-სამგან არაგვშიაც და შუადღისას მივედით ორწყალს, სადაც ხევსურეთის არაგვი ერთვის ფშავისას.

აქედან იწყება მარცხნივ კახეთის მხრივ ფშავის არაგვის ხეობა თავისის სოფლებით: შუაფხოთი, მუქოთი და უკანაფშავით; მარჯვნივ გუდამაყრის მხრივ მიემართება ხევსურეთის არაგვის ხეობა თავისის სოფლებით: ბარისახოთი, ხახმატით, გულით, ბაცალიგოთი, როჭკით, შატილით და არხოტით; შემდეგ ზედ მობმულია ქისტეთი. თითო ამ სოფელთაგანი შემდგარია ოც-ოცის სოფლისაგან, რომელნიც მიჰკვრიან მერცხლის ბუდესავით რომელსამე კლდის ნაპრალს, ან მოჰქცევიან ზედ მთის თოვლით მოსილს წვერს და იქიდან სდარაჯობენ ხე-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2082.

ძალ-ღონე თავის ხალხის სამსახურს შესწირა. რიგერი მხურვალე და გატაცებული მებრძოლი იყო, რამაც საუნივერსიტეტო დისპუტშიც იჩინა თავი: თავის დისერტაციის ერთ-ერთ ტეზისში რიგერი ამტკიცებდა, თუ რამდენად უმჯობესია წინდაწინვე ზომების მიღება შემდეგ დასჯაზე იქ, სადაც საქმე ბეჭდვითი სიტყვის ბოროტად მოხმარებას ეხება; ორატორმა ისარგებლა შემთხვევით და ისეთი ფილიპიკა წარმოსთქვა ცენზურის წინააღმდეგ, რომ ფაკულტეტის დეკანმა უბრძანა იქვე მყოფ ორკესტრს დაკვრა დაეწყო: რიგერის სიტყვები აღარ ისმოდა და დისპუტიც ამით გათავდა.

**პრუსია.** პოზნანის მმართველი გამოიცვალა და მისი მოადგილის შოვნა ძალიან გაუჭირდა გერმანიის იმპერატორს: ვისაც არ მიჰმართა, ყველა უარს ამბობდა; და არც გასაკვირველია: პოზნანის მმართველის მოვალეობაა პოლონელებს ებრძოლოს, შეასუსტოს და გერმანული ელემენტი გააძლიეროს; ეს-კი ადვილი საქმე არ არის: როგორც ვიცით, აქამდე სულ პოლონელები გამოდიან გამარჯვებული ბრძოლიდან. ბოლოს ვილჰელმ მეორეს უშოვნია სასურველი კანდიდატი—აღმოსავლეთ პრუსიის მმართველი, რომელიც მზად არის ყოველი საშუალება იხმაროს პოლონელების წინააღმდეგ. მაგრამ, იმედია, რომ ახალი მმართველიც ვერას გააწყობს; საკოლონიზაციო ფონდის ანგარიში 1902 წლისა შემდეგ საინტერესო ცნობებს იძლევა: საანგარიშო წლის განმავლობაში ხსენებულ ფონდს შეუძენია 22,007 ჰეკტარი მიწა 19.094,531 მარკად; მაგრამ პოლონელ მემამულეთაგან უყიდიათ მხოლოდ 4910 ჰეკტარი; დანარჩენი ისევ გერმანელებისაგან არის ნაყიდი. მეოთხედი მილიარდი ფული აქვს საკოლონიზაციო ფონდს და ვერა გაუწყვიათ-რა პოლონელებთან, იმდენად მომზადებულია პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლისათვის პოლონეთის ერი.

# ახალი ამბავი

◆ როგორც გავიგეთ, ჰფიქრობენ თურმე **შავის ზღვის პირად განზრახული რკინის** გზა ზუგდიდზე გაატარონ.

◆ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ ოჰანეზოვს ნაჩივლი ჰქონდა, ჩემს ჯამაგირს **ქალაქი არ მაძლევსო.** ამის შესახებ სასწავლებლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარეს ი. ს. ალიხანოვს პირადად მოუხსენებია ტფ. გუბერნატორისათვის საქმის ვითარება და ისიც აღუნიშნავს, საქმე ისე არ გამწვავდებოდა, ქალაქის გამგეობას რომ მართებული დამოკიდებულება დაეჭირა კომიტეტთანაო. ბ-ნ ალიხანოვის განმარტება ტფ. გუბერნატორს ქალაქის მოურავის მოადგილისათვის გაუგზავნია და სთხოვს ამის შესახებ ცნობები წარმომიდგინეთ და ბ-ნ ალიხანოვის მხრით წარმოდგენილ გამტყუნებაზე პასუხი მომეცით, თუ შესაძლებლად დაინახოთ, მთელის გამგეობის მხრითაცაო.

◆ გორის ქალაქის მამასახლისს მოუხსენებია გუბერნატორისათვის, რომ **ნივთიერ უსახსრობისა გამო** ქალაქს არ შეუძლიან იქ მდგომ ჯარში მოსამსახურენი სადგომების ქირის მიცემით დააკმაყოფილოს; ამავე მიზეზით თებერვლის ფული ქალაქმა ვერ გამოიღო და ამიტომ მამასახლისი სთხოვს გუბერნატორს სამასის თუმნით დახმარება აღმოუჩინოს ქალაქს საკუთრივ ამ ხარჯების დასაკმაყოფილებლად.

◆ კონდიტერებისა და მებულკეების ოსტატები, ქარგლები, თუ მუშები დიდი ხანია **სჩივიან თავისს შავ-ბედსა:** არა თუ საქმე-დღეს, კვირაობითაც-კი არა გვაქვს მოსვენება, მაგრამ ჩივილი ჩივილად რჩება. ახლა ხელოსანთა მოურავისათვის უთხოვნიათ, დაგვეხმარეთ და კვირა დღეს უქმობა მაინც მოგვიხერხეთო. რა თქმა უნდა, კონდიტერები და მებულკეები ამაზე სულ სხვას იტყოდნენ და სწორედ ამ მხრით შეუძლებლად უცვნიათ ხელოსანთა მოურავისათვის ზემოხსენებულსათხოვარის დაკმაყოფილება.

თუმცა ხელოსანთა მოურავს უნდა ეს საგანი ხელოსანთა საზოგადო კრებას მოახსენოს გადასაწყვეტად, მაგრამ ოსტატები და მუშები წამოსულან და კიდევ ამის შესახებ საჩივარი ქალაქის გამგეობისათვის განუცხადებიათ და უთხოვნიათ: როგორც სხვა საგნებზე, ჩვენი ხელობის შესახებაც სავალდებულო დადგენილებანი გამოეცით და კვირაობით მუშაობისაგან გაგვანთავისუფლეთო.

ამასვე თხოულობენ თურმე პარიკმახერების ქარგლები და მუშები.

◆ ტფ. გუბერნატორს მოუთხოვია ქალაქის მოურავის მოადგილის მ. შესტაკოვისაგან: სანამ საბჭო დაამტკიცებდეს თავისს დადგენილების ჟურნალს სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის მოსპობის გამო, **ეხლავე წარმომადგინეთ ეს დადგენილებაო.**

◆ ამას წინად ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში შეეტანათ 115,400 მანეთი სოლოლაკის **წყლის მილის** გადასაკეთებლად. გამგეობამ ეს განცხადება განიხილა 27 თებერვალს და დაადგინა უფულობის გამო ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ დასტოვოს ეს საქმე.

◆ **ქალაქის სკოლებთა გამგე კომისიის** სახელმძღვანელო შარშან ინსტრუქცია შეადგინეს და საბჭომაც მოიწონა ეს ინსტრუქცია, მაგრამ ქალაქის საქმეთა საკრებულომ, თანახმად სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შენიშვნებისა, ინსტრუქციაში ზოგი მუხლის შეცვლა მოითხოვა. საბჭომ დაადგინა, საკრებულოს დადგენილება სენატში განასაჩივროს და ამ საჩივარის პროექტის შედგენისათვის გუშინ წინ შეერთებულმა კრებამ გამგეობისა და სასკოლო კომისიისამ მცირე კომისია აირჩია, რომელსაც შეადგენენ: ი. ს. ალიხანოვი, ი. ა. მელიქ-ბეგლაროვი, პ. მ. დოლუხანოვი და საბჭოს მდივანი ს. ქრელაშვილი.

◆ ვინც ქალაქის **სავალდებულო დადგენილებათა წესებს დაარღვევს,** იმას ოქმს შეუდგენენ და საქმეს სასამართლოს გადასცემენ. მოსამართლეთ არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამისთანა ოქმები ხშირად ისეა შედგენილი, საჭირო საგნებიც-კი არ არის ნათლად გამოცხადებული და არც სხვაფრივაა ისე შედგენილი, როგორც კანონი მოითხოვსო. ამის გამო ქალაქის გამგეობას საერთოდ უცნობებია სასანიტარო ექიმებისა, ქალაქის სამეურნეო-პოლიციის აგენტებისა და ტეხნიკოსებისათვის ოქმი ისე შეადგინეთ, როგორც ამის კანონი ითხოვს და ოქმის შედგენის დროს სავალდებულო დადგენილების დამრღვევი უთუოდ უნდა დაისწროთ და ოქმზე ხელი მოაწერინოთო. უნდა დაისწროთ და ოქმზე ხელი მაწერინოთ ვინმე ორი გარეშე კაცსაცაო.

◆ ქ. **სოხუმში** არსდება ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების განყოფილება. ჯერ-ჯერობით განყოფილების წევრად 50 კაცი ჩაწერილა.

◆ ხონის საოსტატო სემინარიაში, როგორც „პრავ. ვესტ."-შია გამოცხადებული, წესდება პირველ ივლისიდან ახალის მასწავლებელის თანამდებობა. ამ მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ხელოსნობა. ამისთვის სახელმწიფო ხაზინა წელს გადასდებს 605 მანეთს, ხოლო შემდეგ წლებში 1210 მანეთს. ამას გარდა გადაიდება 600 მანეთი სახელოსნოს მოსაწყობად.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს ატყობინებენ, ჰფიქრობენ თურმე რკინის გზის ბაქოს **სადგურზე მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუმატონ.**

◆ ოლთის ოლქში, როგორც „ყარსი" გადმოგვცემს, **ქვა-ნახშირი აღმოუჩენიათ.** ბევრს უკვე უთხოვნია ამ ქვა-ნახშირიან ადგილების დამუშავების ნება-რთვა.

◆ **კონტროლიორის გედევანიშვილისა და კონდუქტორის სტურუას მოკვლის საქ**მე დანიშნულია განსახილველად 3 მარტისთვის. ამ საქმეს განიხილავს სამხედრო სასამართლო ბაქოში.

◆ **განსვენებულ ნატალია შიოევისას დიდი შეწირულება დატოვებია ტფილისისათვის.** ქალაქმა დიდი ხანია დაადგინა, განსვენებულის საფლავზე ძეგლი დაედგას. ძეგლი მზად არის და ქალაქის გამგეობასაც შემდეგი ზედ-წარწერა შეუდგენია ამ ძეგლისათვის: „განათლებისათვის უხვად მზრუნველს. აგებულია ტფილისის მიერ". მხოლოდ ისაა აღსანიშნავი, რომ ამ ზედ-წარწერს მხოლოდ რუსულისა და სომხურ ენების მცოდნე თუ წაიკითხავს. ასე გადაუწყვეტია გამგეობას—ამ ორ ენაზე იყოს ზედ-წარწერაო.

◆ გუშინ, 28 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების თევდორე კარნიზევისა, რომელსაც თავის მეუღლის ნატალიას მოკვლის განზრახვა და ცოლის საყვარლის ტერენტი დოლიკარევის მოკვლა ჰბრალდებოდა. შარშან ერთ ღამეს კარნიზევს შეუნიშნავს, რომ ცოლი იმის გვერდით აღარ იწვა. გასულა მეორე ოთახში და უნახავს, რომ იმისი ცოლი ნატალია დოლიკარევს შეთხვევია კისერზე და ესიყვარულება. კარნიზევს აუღია დანა, დოლიკარევისთვის ჩაუკრავს გულმკერდში და იქვე მოუკლავს. შემდეგ ცოლი ორგან დაუჭრია. სასამართლომ ბრალდებულს გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა. სასამართლომ ამასთანავე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ აღნიშნული სასჯელი კარნიზევს ღირსებათა ჩამოურთმევლად ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრებით შეეცვალოს.

◆ ტფილისის გუბერნატორისათვის ამას წინად უცნობებია პოლიცმეისტერს, რომ კონსტანტინე სვიმონოვს ვერაზედ აგურხანები გაუმართავს და სომეხთა სასაფლაოსთან მიწას ათხრევინებს, რის გამო ინგრევა საფლავებიო. გუბერნატორის განკარგულებით სამშენებლო განყოფილებას დაუნიშნავს განსაკუთრებული კომისია. სამშენებლო განყოფილება, ატყობინებს რა ამ ამბავს ქალაქის გამგეობას, სწერს, რომ თქვენის მხრითაც ამ კომისიაში დანიშნეთ ტეხნიკოსებიო. ამ კომისიამ სასაფლაო უნდა დაათვალიეროს დღეს, 1 მარტს, და მიიღოს საჭირო ზომები.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის მეეტლეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას დაეცადათ ერთი თვე კიდევ ცხენების გადასახადის შეტანა და აგრეთვე ერთი თვის ვადა მიეცათ გამგეობიდან ეტლებისთვის ნომრების გასატანად. გამგეობამ დაადგინა ეს განცხადება განსახილველად წარუდგინოს ქალაქის საბჭოს.

◆ მნაცაკანოვის ხიდის შემოსავლის გასაცემად 27 თებერვლისათვის დანიშნული საჯარო ვაჭრობა არ შესდგა და გადაიდვა სხვა დროისთვის.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტმა სასურველად სცნო, სოფლის მოხელეებს: მამასახლისებს, იმათ ნაცვლებსა და მოსამართლეებს ჯამაგირები დაენიშნოთ, რადგან უჯამაგიროდ დროს ვერ ანდომებენ სამსახურს და მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებენ. კომიტეტმა სასურველად სცნო აგრეთვე, რომ ხსენებულ თანამდებობაზე წერა-კითხვის მცოდნეთ ირჩევდნენ.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ფ. ზდანოვიჩი 10 მარტს გაემგზავრება პეტერბურგს საბჭოს საქმეებისა გამო.

---

ობებს მტერი არ შემოიპაროს ქისტეთით საქართველოში. ვინ იცის, რამდენჯერ გადაურჩენიათ ამ საწყლებს ჩვენი ქვეყანა უცების თავ-დასხმისაგან? ვის შესტკივა ამათთვის ეხლა გული? სისულელედაც მიაჩნიათ იმათთვის სამსახური. ის არა სჯობია თბილ ოთახებში ვისხდეთ, ვლაყბობდეთ ცუდ-უბრალოდ და ბრალიანსა და უბრალოს ლაფს ვესროდეთ!

აი სწორედ ამ ორის წყლის შესართავში მოუმართავს დუქნები ორს ვაჭარს და როგორც შენ თოკზე ასხმულის ჩანგლებით შეჰკრა ორივე ტოტი წყლის შესართავისა, რომ არც ერთმა თევზმა არ ასცუროს არც ერთს ტოტში და არც დასცდეს შესართავს ისე, რომ ანკესზე აგებული ჭიაყელა არ იგემოს, ისე ამ ვაჭბატონებს გაუყვიათ არაგვი შუაზე და ერთს ფშავის არაგვის ხეობა ჰრგებია, ხოლო მეორეს ხევსურეთისა—ერთი ერთისა სდარაჯობს, მეორე მეორესა. რატომ არ წამოიხედავ, ირაკლი, რა დღეში არიან შენი მთიელნი, საყვარელნი ხევსურნი?! სწორედ გამაოცა, როცა დავინახე ორივე დუქანი ფშავ-ხევსურებით დატენილი ჰიქებით ხელში. მითხრეს, თითო დუქანს ექვს-ექვსი ცხენი ჰყავს ღვინისა და არყის საზიდად და მაინც ვერ ასდიანო. მერე რა ღვინო და რა არაყი? ცარიელი პილპილი და ძირტკბილა. ნეტა რაც თიანეთიდან აქამდის დუქნები ვნახე შემომწკრივებული, იმდენი სკოლა მაინც იქმნებოდეს მთელს ორსავე ხეობაზე. მეგონა ეს ქვეყანა მაინც იქმნებოდა თავისუფალი ამ წურბელებისაგან, მაგრამ აქ უარესობა ყოფილა: რაც ამ ორს ხეობაში ფშაველს თუ ხევსურს მოუნაგრია, სულ ამ პიონერებისათვის უტანებია და თვითონ მშიერ-მწყურვალი და შიშველი რჩენილა. ნეტა, ვინ იქმნება ღვისნიერი, რომ აქ ეს სასმელების დუქნები მოსპოს? რად უნდა ფშაველსა და ხევსურს სასმლის დუქანი? თვითონა ჰხდიან უკეთეს არაყს და ლუდს, ვინემ მედუქნეები ჰყიდიან. მერე ეს საცოდავი ხალხი რა ნაირად ეტანება სასმელს! ამაზე დიდი ჭირი არა არის-რა ამ ქვეყნად.

შევუდგეთ ისევ ჩვენს გზას და ამათ დროებით თავი დავანებოთ. გავემართენით ხევსურეთის არაგვით მარცხენა მხარეს; ყოველისფერი მოიცვა სიჩუმემ, გაყინულია ხევსურეთი მთლად, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, ჩამოშვებულია მთის ნაპრალებიდან სახერხი მორებივით ყინულის სვეტები, ზოგი ძირს დასწვდომია, ზოგი ჯერ კიდევ ვერა, ზოგგან ჯერ კიდევ გადმოსჩქეფს წყალი, აკლია მთლად შეყინვა, ორიოდე დღე და ესეც დაემონავება ბუნების ძალას. თოვლი თან-და-თან მატულობს და სადაც ვზომავ, ადლს ემატება. აი, თვით ხევსურნიც მხვდებიან; თოვლი მოუსრესიათ და ჩამსხდარან, არაყს შეექცევიან. ეტყობათ, ძუნწობა შეჰპარვიათ, არ შეგვიპატიჟეს, იქმნება კიდეც გამოელიათ. ბარად მიდიან, თვითეული მათგანი საკუთარს ფიცს სდებს, ოღონდ მშვიდობით დაბრუნდეს და ჯიხვს, არჩვს, ფსიტებს და სხვ. შესწირავს გუდანს, ხახმატს და სახატოს ჰპირდება. ბლოგელები არიან არხოტის ძირიდან.

მივდივართ ფეხით, შეჯდომა შეუძლებელია, ხშირად ჯორები თითო თითო გაჰყავთ კლდეებზე; ერთი კაცი წინ უძღვის ყავარჯნით, მეორეს კუდი მაგრად ხელზე აქვს დახვეული ჯორმა ქედს არ წამოჰკრას ტვირთი და არ გადიწიოს გადასავარდნად, თანაც მაგრა არჭობს შუბს ნაპრალში, რომ ფეხი მაგრად მოიმაგროს; ზოგგან ხურჯინს ვხდით ჯორებს და ზურგით გაგვაქვს, გზა თოვლისგან მეტად წამხდარია. მოვრჩით ამეებსაც. შევდექით ისევ ხიდზე. ჯორი, თითქოს რაღასაც ამჩნევსო, დაიყურება და ბოლოს გაჩერდა. თურმე ხიდს თავი ჩანგრეული აქვს და ჰფიქრობს, რა მოუხერხოს. უცბად სკუპს აკეთებს და არშინს ხტება, მეცინება და თან შიში მიტანს, არ ჩაგვენგრეს სრულიად; მაგრამ ხახმატი გვწყალობს, ფათერაკი არ მოგვდის.

მიყუჩდა ყოველისფერი, ხმა, გლიმი არ საიდან არ ისმის, გამქრალა ყოველი კვალი სიცოცხლისა. თუ სადმე პატარა შავი წყლის გვრიტა გაისრიალებს არაგვზე და ხან ჩაყურყუმელავდება და დაეძებს სანსალებს და ხან აპოძვრება. ყურს ვუგდებ, მოისმის კაცის ღრიალი; გაყინული მთა-ბარი ახმაურდა. რა არის ესა? მეუბნებიან—ხევსური მღერისო. დავაცადე ცოტა და გამოჩნდა დაშვებულს ფრიალოზე მომცურავი კაცი. მოხტის, მოჰქრის ახალგაზდა ხევსური; მოკლე ტყავი აცვია, ცალ მხრივ ხმალი აქვს დაკიდებული, მეორეს მხრივ ფარი. მოჰქუხს, მოაქვს არე-მარე მთლად.

ეტყობა, არაყი თუ ლუდი შეუსვამს. სადღაც მიეშურება, ბინდდება, ჩვენთვის არა სცალიან სალაპარაკოდ, მოკლე სალამი „სალამო მშვიდობისა" და მშვიდობით; დაეშო თავქვე.

ჩვენც მივეშურებით რაც შეიძლება, ხან ოფლი გვხოცს და ხან სიცივე. ბოლოს გავედით პატარა ვაკეს. აქ თოვლის ზოლები დამწკრივებულან რიგის საყდრებივით, თითქოს სდარაჯობენ ბარისახოს, არავინ შევიდესო. ერთს იმათგანს მთლად გზა შეუკრავს ჩვენთვის, მაგრამ ამაოდ; იმიშვლეს ტყავები ჩემმა კაცებმა, ეძგერნენ და შუაზე გააპეს, გადათელეს, გაიყვანეს ჯორები და მეც. უკანასკნელად გავედით კიდევ ერთ ბეწვის ხიდს და მივედით კიდეც ბარისახოში. სოფელი შეფენილია ფერდოებზედ, რომელიც წარმოადგენს იმერულს მეწყერს და ჩვენებურს ნაშალს ანუ ნაბაროვს. ძველად, ცოტ-ცოტა თუ ერთბაშად, წამოსულა მთიდამ და აქ შეყენებულა. ძირს არაგვის პირად მშვენიერს ვაკეს წარმოადგენს და იქ არის მოთავსებული სკოლა, კანცელარია, მღვდლის სახლი, ხოლო ჩრდილოეთით მაგარს ტინზედ—ეკკლესია.

როგორც იყო, მივედით მეოთხე ღამისას და დავბინავდით ამ სოფლად. ჩემი მგზავრობაც დასრულებული იყო და ამ ზამთრობით აქ უნდა დავრჩომილიყავ. ზევით ხევსურეთი მთლად მოწყვეტილია უგზოობით და გაზაფხულამდის, ე. ი. მაისის გასალამდის, ვერ ვეღირსები არხოტამდის გადასვლას. მეც უნდა მოვიცადო, რა გაეწყობა: სადაც არა სჯობს, დაცდა სჯობსო.

ბარისახოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ბუხჰალტრად მოწვეულ იქმნა ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის ბუხჰალტრად ნამყოფი ა. კრინიცკი.

# რუსეთის ქრონიკა

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ოდესაში 9-დან 15 თებერვლამდე მოხდა მეღვინეთა და მევენახეთა კრება. სხვათა შორის, რკინის გზით ღვინისა და ხილის გადაზიდვის შესახებ კრებამ დაადგინა შემდეგი შუამდგომლობანი აღძრას: ღვინისა და ხილისათვის გაიმართოს რკინის გზებზე განსაკუთრებული ვაგონები; ზაფხულობით ხილის გამგზავნელთ დაეთმოთ ხოლმე განსაკუთრებულად მოწყობილი ვაგონები, სადაც ხილი კალათებით დაიდგმება; როდესაც ხილი და ღვინო ბლომად იგზავნება, მატარებლების სწრაფი მიმოსვლა დაწესდეს; განწესრიგებულ იქმნას ბოთლებით ღვინის გადაზიდვის საქმე; შემოღებულ იქმნას ღვინის გადასაზიდად სავაგონო ტარიფი.

◆ რუსეთის შიდა გუბერნიებში გლეხთა შორის ამ ბოლოს დროს მრავლად არსდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი. შარშან, 22 დეკემბერს, მოსკოვის გუბერნიის სოფელ ვასილევკაში დაიწყო მოქმედება ერთმა ასეთმა საზოგადოებამ. საზოგადოება მოქმედებს სულ სამ თემში. აზრადა აქვს: ცხენისა და საქონლის ჯიშის გაუმჯობესება, ბაღებისა და ბოსტნების გამართვა, სამეურნეო იარაღისა და თესლეულობის შეღავათიანად შეძენა, სასოფლო-სამეურნეო წიგნთსაცავების გამართვა და სხვა. მოსკოვის საერობო გამგეობამ პირველ ხანს ამ საზოგადოებას 500 მანეთი მისცა, ხოლო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ— კარგის ჯიშის რამდენიმე ცხვარი. ახლად დაარსებულმა გლეხთა საზოგადოებამ იჯარით აიღო ერთი დესეტინა მიწა და ეხლავე შეუდგა სანიმუშო ბაღ-ბოსტნის გაშენებას.

◆ ყირიმიდან, როგორც „კრიმ. ვესტნ.“-ი გადმოგვცემს, ამას წინად 200 ყირიმელი თათარი კიდევ გადახვეწილა ოსმალეთში. ხმა დადის, რომ 20,000 კაცი აპირობს გადასახლებას.

◆ დონის როსტოვი შუამდგომლობს ამ ქალაქში სასოფლო-სამეურნეო პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. ამ აზრით საბჭომ ქალაქის მოურავი გორბაჩოვი გაჰგზავნა პეტერბურგს.

◆ პეტერბურგში კრება ჰქონდათ „ძმათა ნობელების ამხანაგობის“ აქციებისა და პაების პატრონთ. კრებას განუხილავს მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც ამ ხარჯთ აღრიცხვიდან სჩანს, იმედი აქვთ, რომ წელს დედამიწიდან ამოიღებენ 110 მილიონ ფუთ ნავთს. შემოსავალი იქმნება 70,900,000 მანეთი, ხარჯი—69,400,000 მან. წმინდა მოგება 1,500,000 მან. ხარჯა, სხვათა შორის, არის აქციზი—$14\frac{1}{2}$ მილ. მანეთი და სამრეწველო გადასახადი—706,000 მანეთი.

# თეატრი

ქართული წარმოდგენა. „ორი დარაჯი“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ორი მეგობარი, ბევრს ზღაპრად მოეჩვენება ჩვენს დროში. პიესის შინაარსს შეადგენს ცნობილი და უკვდავი გადმოცემა მეგობრულის სიყვარულის შესახებ. ორი დარაჯი გულიელმო (ბ. სვიმონიძე) და რობერტი (ბ. შათირიშვილი) საკარანტინო კანონს დაარღვევენ, ერთს ღარიბს და მშიერს დედაკაცს სამზღვარს გადაატარებენ და ამიტომ სიკვდილით უნდა დაისაჯონ. სამხედრო საბჭო მიიღებს მხედველობაში მათის საქციელის უანგარობას და სიკვდილს მიუსაჯავს მხოლოდ ერთს და რობერტი თუ გულიელმო უნდა დაისაჯოს, ეს კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს. სიკვდილით დასჯა შეხვდება გულიელმოს. გულიელმო თავის მეგობარს რობერტს სთხოვს, წადი, ახლობელ კუნძულზე ჩემი ცოლი და შვილია, ნახე და წერილიც გადაეციო. რობერტი ურჩევს, დასჯა ხომ ხვალამდის არ იქნება, შენ თვითონ წადი, ნახე, დილამდის დაბრუნდები და შენ მაგიერ პასუხის მგებელი მე ვიქნებიო. უფროსი, რომელსაც ძალიან უნდა რობერტის დასჯა, თანახმაა ამაზე. გულიელმო მიდის ცოლშვილის სანახავათ, იქ გაიგებენ ყველაფერს და მეორე დღეს არ უშვებენ უკან, რომ გადაარჩინონ სიკვდილს, მაგრამ გულიელმომ იცის, რომ თუ არ დაბრუნდა, რობერტს დასჯიან სიკვდილით, გამოიქცევა, გადმოცურავს მარტო და დაღალული და დაქანცული მოუსწრებს თავის მეგობარს...

ზღაპრად მოეჩვენება, უეჭველია, ზოგიერთებს ასეთი ამბავი! თავგანწირულობა, ერთგულობა, მეგობრობა დღეს ჩვენში ხომ ზღაპარიაო, პოეტების ოცნების შექმნილი. ამათ აზრით, გმირობა და თავგამოდება არც წინად ყოფილა და არც იქნება არასოდეს, ადამიანები პირუტყვები არიან და გარეშე ვიწრო პირადის ინტერესებისა არაფრით არა ცხოვრობენო!

ასე ფიქრობენ ისინი, რომელნიც საკუთარს ცხოვრებაში პირუტყვულ გრძნობების და ფიქრების მეტს არაფერს არ ხედავენ, რომელთაც კარგა ხანია გაშრობიათ სისხლი, რომელთაც დაუკარგავთ წმინდა ჰაერის სიტკბოება, რომელნიც ყოველგვარს წეს-წყობილებას და ვითარებას ადვილად იტანენ, რადგან ყველაფერს ადვილად შეეფერებიან და თვალების დათხრა, ენის მოჭრა და გულის ამოღებაც რომ მოსთხოვონ, ამასაც კი სიამოვნებით აასრულებენ, თუ კი ამისაგან მათ რამე სარგებლობა ერგებათ (?), რომელნიც ცხოვრობენ უსიცოცხლოთ, ცხოვრების გარეშე!.. განა ასეთ ადამიანებისათვის მუდამ ზღაპარი არ არის ორი დარაჯის მეგობრობა?

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ კაცობრიობა თუ მოსულა დღევანდლამდის, შეუქნია დღევანდელი კულტურა, ეს მხოლოდ თავგანწირულთა, სხვებისათვის თავდადებულ ადამიანთა შემწეობით! ისტორია სავსეა ასეთის საყვარელის სახელებით! სოკრატის, ბრუნოს, გალილეის და სხვათა მრავალთა მაგალითები ყოველთვის იზიდავენ ადამიანებს. არა ერთს აუღია და აიღებს ტანჯვის ჯვარს, არა ერთისათვის დაუდგამთ წამების გვირგვინი! მაინც მიუხედავათ ყოველგვარ მათრახისა, საპყრობილესა, ბორკილისა, ცეცხლისა და ეშაფოტისა ადამიანები მიდიოდნენ წინ სიმართლისა და სინათლისაკენ! მიდიან დღესაც, ვიდრე არ ეღირსებიან უკეთეს, ადამიანურ ცხოვრებას!.. მეგობარი გადასცურავს ზღვას მეგობრისათვის.

გმირობა, თავგანწირულობა, მეგობრობა ყოფილა, არის და იქნება მუდამ მათთვის, ვინც ცხოვრობენ ნამდვილის ცხოვრებით, და „ორი დარაჯი“ სრულებით არ არის ზღაპარი.

პიესა მელოდრამატიულია, ზოგი ადგილი მეტად ელემენტარულად არის დაწერილი, ასეთი პიესა ნამდვილი სახალხო პიესაა და ჩვენს დასს უნდა წარმოედგინა იგი არა ხუთშაბათს, არამედ კვირა დღეს, როდესაც წარმოდგენას ესწრება მდაბიო მაყურებლები, რომელთათვის „ორი დარაჯის“ ცხოვრება, სასიამოვნოდ, არ არის ზღაპარი, არამედ რეალური მოვლენაა.

ჭ.

ხვალ, 2 მარტს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ბ-ნ ან. ფურცელაძის 5 მოქმედებიან ტრაგედიას „ავაზაკებს“.

## პატარა დღიური.

ეჭვი არ არის, ყველა წაიკითხავდა „ცნობის ფურცელ“-ში (№ 2079) დაბეჭდილ „ხევსურთა თხოვნას“. თოვლიან-ყინულიან მთების შვილს, ლაღ და თავისუფალს ხევსურს სწავლა სწყურიან, ცოდნის საზრდო უნდა; იგი გულ დადებით ეწაფება ანა-ბანას, მუშაობს სცდება, შორს, რამდენისამე ვერსის მანძილზე მიდის, რომ წიგნი ან დაგლეჯილ-დაფლეთილი კალენდარი გამოართვას ვისმე და კითხვის წყურვილი დაიკმაყოფილოს. „ზოგჯერ ისეთს ცუდს ამინდზე, ისეთს მთის მწვერვალიდან ჩამოეშვება სისხამ დილას და კარს დაგიკაკუნებს ფარ-ხმლიანი ხევსური—წიგნი რამე მომეცით, რომ გაოცებული რჩება, ჭკუაზე ხომ არ შეშლილა, რა დროს წიგნი არისო!“ სწერს ბ-ნი ბარისახიძე.

დიახ, მთის შვილს, იმ ხევსურს, რომლის თვალთა-ხედვის ისარი დღემდე საღ კლდეს არა სცილდებოდა და რომლის ცხოვრების დღენიც მხოლოდ და მარტო ამ კლდეებს შორის თენდებოდა და ღამდებოდა, სწავლისა და კითხვის საოცარი წყურვილი აღძრა.

სასიხარულოა ასეთი მოვლენა, მაგრამ გულს გოგლავს, როდესაც ამ გვარ უნუგეშო სურათსა ჰხედავ: კაცს ანა-ბანას სწავლება უნდა და ვერსად მოუხერხებია, წიგნის წაკითხვა უნდა და ასის ვერსის მანძილზე უბრალო დაგლეჯილი კალენდარიც-კი ვერ უშოვნია.. ესეც „თქვენი მეოცე საუკუნე! გუტენბერგის გამოგონებამ საოცარი სასწაული მოახდინა; ამ გამოგონების წყალობით ყოველ წელიწადს, სხვაგან რომ არ წავიდეთ, აქ, ჩვენშიაც-კი, რამდენიმე ათასი წიგნი იბეჭდება, მაგრამ ხევსურს ვერც ერთი ვერ უშოვნია, რომ წაიკითხოს და ცოდნის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ყველა ქართველი, ვისაც გარემოება ხელს უწყობს, მოვალეა დაუფიქრდეს ამ უნუგეშო მდგომარეობას და მცირე წვლილი გამოიღოს ხევსურთა დასახმარებლად. ათიოდე წიგნის მიწოდება, ვფიქრობთ, არავის გაუჭირდება. უწინარეს ყოვლისა-კი ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ.

⁂

არა მგონია, სხვაგან სადმე ისეთი წესი მოიპოვებოდეს, როგორიც ბაქოს სადგურის დეპოში შემოუღიათ. არც კი დავიჯერებდი ამ ამბავს, რომ ადგილობრივი გაზეთი „ბაკუ“ არ გადმოგვცემდეს. წარმოიდგინე, მკითხველო, დეპოში ახლად შემსვლელმა ერთსა და იმავე დროს ორი თხოვნა უნდა შეიტანოს: ერთი მიღებისა, ხოლო მეორე დათხოვნის შესახებ. ამ თხოვნების ფორმა წინდა-წინვე შეუმუშავებიათ და ყველამ ამ ფორმით უნდა მიჰმართოს. ერთი თხოვნა ასეთის შინაარსისაა:

„ბ-ნ დეპოს უფროსს. მსურს რა დეპოში შემოვიდე, მაქვს პატივი გთხოვოთ მომცეთ ადგილი (დასახელებულია, რა გვარი): ამასთან თუ აღმოჩნდა, რომ მეტი ვარ, გთხოვთ დამითხოვოთ ჩემდა შეუტყობინებლად, რისთვისაც არავითარ პროტესტს არ განვაცხადებ.“

მეორე თხოვნა, რომელიც ქაღალდის მეორე ნახევარზე იწერება, ასეთია:

„ბ-ნ დეპოს უფროსს. რადგანაც აღარა მსურს სამსახური განვაგრძო, გთხოვთ, ბ-ნო უფროსო, განმათავისუფლოთ და დამითხოვოთ თანამდებობიდან.“

ნათქვამია, გაჭირვება მაწვნე და გაქცევას გაჩვენებო: ეჭვი არ არის, დიდის გაჭირვების გამო არა ერთი-ორი მოაწერს ხელს ამ გვარ თხოვნას.

Spectator

## ფოთის ქალაქის საბჭო

25 თებერვალი

კრებას დაესწრო 21 ხმოსანი, თავმჯდომარეობდა ნ. ნიკოლაძე. საბჭოს მოხსენდა იმ სამის ხმოსნის აზრი, რომელნიც ამას წინად, როცა საბჭოში აზოვ-დონის ბანკის განყოფილების დაარსების საქმე ირჩეოდა, მომხრენი იყვნენ დაარსებისა. გამოირკვა, რომ ბანკის მოტრფიალე ხმოსნებს თავიანთ ქაღალდზე ერთ ისეთ ხმოსნისათვისაც მოუწერნიებიათ ხელი, რომელიც საქმის გარჩევას არ დაესწრო, რის გამო საბჭომ ამ უკანასკნელ ხმოსნის მოქმედება უკანონოდ იცნო.

თავმჯდომარემ წაუკითხა საბჭოს კავკასიის მთავარმართებლის დეპეშა, გამოგზავნილი ქუთაისის გუბერნატორის სახელზე. უკანასკნელი ტელეგრამით უთვლის გამგეობას: „მთავარ-მართებელმა ბრძანა: 6 მარტისათვის ფინანსთა სამინისტროს კომისიაში დასასწრებლად შავი ზღვის ნაპირად რკინის გზის გაყვანის თაობაზე ფოთმა თავისი წარმომადგენელი გაჰგზავნოს და ამ უკანასკნელის ვინაობა შეატყობინოსო“. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: „რადგან შავი ზღვის პირად რკინის გზის გაყვანის შესახებ გამგეობის მიერ დიდი ხანია წარდგენილია შუამდგომლობა, ვინაიდგან ჯერ არს, და რადგან ამ შემთხვევაში სოხუმისა, ფოთისა და ბათუმის ინტერესები ერთნაირია, ამისათვის უმჯობესია ჩვენის ქალაქის წარმომადგენლობა ბათუმის ქალაქის მოურავს თავ. ი. ანდრონიკოვს მივანდოთ, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია. თუ ასე არ მოხერხდეს, მაშინ ერთი ხმოსანი გავგზავნოთ. ჩემი წასვლა ეხლა იმდენ ნაყოფს ვერ მოიტანს, როგორც მოსალოდნელია, რადგან სამხედრო სამინისტრო წინააღმდეგია, რომ რკინის გზის ლიანდაგი ზღვის ახლო ნაპირას იქმნას გაყვანილი. ფინანსთა სამინისტრო კი ეკონომიურის და ტეხნიკურის მხრივ უმჯობესად სთვლის, რკინის გზა ზღვის ახლო ნაპირას იქმნას გაყვანილი და არა მოშორებით. მე ვფიქრობ, რომ სტრატეგიულის აზრით უმჯობესი იქნება, რკინის გზა ზღვის ახლო იქმნას გაყვანილი და არა მოშორებით. ამის შესახებ კიდევაც წარუდგინა ჩემი მოსაზრება კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსს ბელიავსკის, რომელსაც მოეწონა იგი და განხილვის შემდეგ თავის აზრს შეგვატყობინებს, რადგან წინად ეს უკანასკნელი მოსაზრებანი არც სამხედრო უწყებას ჰქონდა მხედველობაში მიღებული. ყველა ჩვენი შუამდგომლობა, შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანის თაობაზე 6 მარტს ფინანსთა სამინისტროში შემდგარ კომისიას, სადაც სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც დაესწრებიან, მოხსენდება და იმ დროს იქ საჭიროა ფოთის წარმომადგენლის დასწრება.“ ერთ-ხმად დასახელებულ იქმნა ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე, რომელმაც, ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო, წასვლაზე უარი განაცხადა და საბჭოს ქალაქის წარმომადგენლის კანდიდატებად ხმ. თავ. ან. ერისთავი, გ. მიქაბერიძე და ქ. მეიერი დაუსახელა. როგორც საბჭომ, ისე ამ უკანასკნელთაც უმჯობესად დაინახეს ქალაქის მოურავის გაგზავნა, რადგან იგი შავი ზღვის ნაპირა ადგილების მდებარეობას კარგად იცნობს და თან სხვა-და-სხვა ინჟენრების თანადასწრებით ბევრჯელ გზის გამოკვლევაც კი მოუხდენიათ. მეტი გზა არ იყო, ხანგრძლივის თხოვნის შემდეგ ქალაქის მოურავმა ხელ-მეორედ იკისრა პეტერბურგში წასვლა და საბჭოს მოახსენა: „ადვილი შესაძლებელია სამხედრო უწყების მოსაზრებით შავი ზღვის ახლო ნაპირა რკინის გზის პროექტი არ განხორციელდეს ფოთზე. მაგრამ გამგეობას სხვა მიმართულების რკინის გზის გაყვანის პროექტის განხორციელების იმედი უფრო აქვს ფოთზე, რომლის შესახებ გამგეობამ კიდევ მიიღო წინადადება კავკასიის რკინის გზის მმართველობისაგან, რომ ისინი მზად არიან გაგვიკეთონ სადგურ პრასხლადნოიდან დაწყებული ზუგდიდსა, ფოთსა და შემდეგ სუფსამდის რკინის გზის ლიანდაგი. ამის შესახებ შეკრებილ საჭირო მასალასა და გამოკვლევას ჩვენ კიდევ გამოვაცხადებინებთ ინჟენერ კატერფელდს.

ბოლოს საბჭომ მოისმინა უძრავ მამულების დასაფასებელ და დასაგეგმ კომისიის მოხსენებანი, რომელთაგანი ჩვენის მკითხველის საყურადღებოდ არც ერთი არ მიგვაჩნია.

ი. იანეთელი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 თებერვალი. *)

**პეტერბურგი.** წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვ. და სხვ. და სხვ. ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულს ქვეშევრდომს: ღვთის განგების ნებითა ავედით წინაპართა ტახტზედ და სამღთო აღთქმა დავდეთ წინაშე უზენაესისა და ჩვენის სვინდისისა, წმინდად დავიცვათ ძველნი საფუძველნი რუსეთის სახელმწიფოსი და სიცოცხლე ჩვენი შევსწიროთ საყვარელს სამშობლოს სამსახურს. ჩვენ ქვეშევრდომთათვის დაუძინებელმა ზრუნვამ დაგვიყენა თვალ-წინ გზა განსახორციელებლად საერო კეთილდღეობისა. ეგ გზა არის აზრი და არსება მარად-სახსენებელ თვით-მპყრობელ ჩვენ წინამოადგილეთა და უპირველეს ყოვლისა დაუვიწყარ ჩვენის მშობლისა. ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ინება შეწყვეტილიყო უდროვო გარდაცვალებით მეფური ღვაწლი საყვარელის ჩვენის მშობლისა და ჩვენთვის დაეკისრებინა სამღვთო ვალი, განგვეგრძო მის მიერ დაწყებული საქმე რუსეთში წესიერებისა და სიმართლის განმტკიცებისა საერო ცხოვრების ახლად თავ-ჩენილ მოთხოვნილებათა თანახმად. ჩვენდა სამწუხაროდ, ამბოხი და არეულობა, ნაყოფი ერთის მხრივ სახელმწიფო წესიერების საწინააღმდეგო ზრახვათა, ხოლო მეორეს—იმ აზრთა გატაცებით, რომელიც უცხოა რუსეთის ცხოვრებისათვის, ხელს უშლის და აბრკოლებს საერო კეთილდღეობის დამყარებას და საერთო მუშაობას. ეს ამბოხი ამღელვარებს ადამიანთა გონებას, გულს უცრუებს ხალხს ნაყოფიერს მუშაობაზედ და არა იშვიათად ჰღუპავს ახალგაზდათა ძალ-ღონეს, ჩვენთვის ძვირფასს და მათ ოჯახთა და სამშობლოსათვის საჭიროს. ჩვენის ნების ყველა ამსრულებელს, როგორც მაღალს, ისე დაბალს, ვუბრძანებთ, მტკიცედ ეწინააღმდეგონ საერო ცხოვრების წესიერ მიმდინარეობის ყოველს ხელის შემშლელს. იმედი გვაქვს, რომ ყველანი საერთოდ და თვითეული ცალკე პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას. ჩვენც ჩვენის მხრივ შეურყეველის სიმტკიცით და გაბედუ-

---

*) სამწუხაროდ, ეს დეპეშა გუშინ შეცდომით ვერ დავბეჭდეთ.

ლობით აღვიჭურვებით, რომ დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილოთ უკვე მომწიფებული სახელმწიფო საჭიროებანი. ამიტომ საკეთილოდ მივიჩნიეთ: განვამტკიცოთ საქმე სათანადო მთავრობის მიერ სარწმუნოების შეწყნარებისა, აღნიშნული რუსეთის იმპერიის ძირითადს კანონებში; ამ კანონებისამებრ მოწიწებით უნდა მიჩნეულ იქმნას მართლ-მადიდებელი ეკკლესია პირველ და უმთავრეს ეკკლესიად, ამასთან ნება ეძლევა ყველა ჩვენს ქვეშევრდომს, სხვა სარწმუნოებისა და აღსარებისას, თავისუფლად სწამდეს თვისი სარწმენი და თავისუფლად აღასრულებდეს ღვთის მსახურებას თვისის სარწმუნოების წესისამებრ; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, განვაგრძოთ მხნედ მიღება იმისთანა ღონისძიებათა, რომელთა წყალობითაც შესაძლო იყოს სოფლად მართლ-მადიდებელ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის განკარგება, რათა ამით უფრო გაძლიერდეს ღვთის მსახურთა-მიერ ნაყოფიერ მონაწილეობის მიღება სამწყსოს სასულიერო და საზოგადო ცხოვრებაში; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, ხალხის მეურნეობის განსაკარგებლად სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებმა, განსაკუთრებით სათავად-აზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებმა, უმთავრესი ყურადღება მიაქციონ სოფლის ცხოვრების უმთავრეს ბურჯების განმტკიცებას და კეთილდღეობას; ეს ბურჯებია სოფლად ცხოვრები თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა; საკეთილოდვე მივიჩნიეთ, ჩვენ მიერ განზრახული შრომა სოფლის მკვიდრთა შესახების კანონ-მდებლობის გადასინჯვისა, როცა ეს საქმე განხილული იქმნება ჩვენ მიერ ნაჩვენების წესით, გადაეცეს ადგილობრივ საგუბერნიო საბჭოებს, რომ განაგრძონ დაწვრილებით მისი შემუშავება და შეფარდება ადგილობრივ ვითარებასთან იმათის მახლობელის მონაწილეობით, ვინც ღირსეულ მოღვაწედ ითვლება და საზოგადოების ნდობით არის მოსილი; საკეთილოდ მივიჩნიეთ, რომ ამ შრომას საფუძვლად დაედოს ხელ-უხლებლობა გლეხთა სათემო მიწათმფლობელობისა და ამავე დროს ის ღონისძიება უნდა იქმნას მონახული, რომ გლეხს გაუადვილდეს თემიდან გამოსვლა; უნდა მიღებულ იქმნას დაუყოვნებლივ ღონისძიება, რომ მოისპოს გლეხთათვის შემაწუხებელი ურთიერთი თავმდებობა; უნდა გადაკეთდეს საგუბერნიო და სამაზრო მმართველობანი, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ პირდაპირ შეეძლოთ თავიანთ მრავალ-ფეროვან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; ამათ ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს ძლიერი და კანონიერი მთავრობა, ჩვენ წინაშე სასტიკად პასუხის მგებელი; უნდა სასურველად იქმნას ცნობილი ადგილობრივ ცხოვრების განკარგებისა და მოწესრიგებისათვის დაახლოვება საზოგადოებრივ მმართველობისა და მოღვაწეობა სამრევლო სამზრუნველოებისა მართლ-მადიდებელ ეკლესიებთან იქ, სადაც კი ეს შესაძლებელი იქმნება. მოვიწვევთ ყველა ჩვენს ერთგულს ქვეშევრდომს, ხელი მოგვიმართოს და დაგვეხმაროს დასანერგად ოჯახსა, სკოლასა და საზოგადო ცხოვრებაში ზნეობრივ საფუძვლებისა, რომლის შემწეობითაც თვით-მპყრობელის ფრთეთა ქვეშე შეიძლება განვითარება ერის კეთილდღეობისა და რწმენა თვითოეულისა, რომ იმისი უფლება მტკიცეა და შეურყეველი. ამიტომ ვუბრძანებთ ჩვენს მინისტრებსა და მთავარ-გამგებელთ, ვისაც ეს შეეხება, წარმოგვიდგინონ მოსაზრებანი იმის შესახებ, როგორ უნდა განხორციელდეს ჩვენ მიერ განმარტებული განზრახვანი. ყოვლად შემძლებელმა უფალმა აკურთხოს ჩვენი სამეფო შრომა და შეგვეწიოს, რომ სამშობლოს ყველა ერთგულ შვილთა შეერთებით აღვასრულოთ ჩვენი აზრი სახელმწიფო წესიერების გაუმჯობესებისა ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე წეს-წყობილების დამყარებით, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენის დიდის სახელმწიფოს წარმატებისათვის. — ს.-პეტერბურგი, 26 თებერვალს, წელსა დაბადებიდან ქრისტესი ათას ცხრაას სამსა, ხოლო მეფობასა ჩვენისასა—მეცხრესა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ“

### 27 თებერვალი.

**ყაზანი.** ყაზანის სასოფლო-სამეურნეო საგუბერნიო კომიტეტმა სამაზრო კომიტეტების მოხსენება განიხილა და თავისი მოქმედება დაასრულა.

**ხარკოვი.** ბანკის საქმეზე დღეს ხელ-მეორედ ჰკითხეს ექსპერტებსა და მოწმეებს; ჰფიქრობენ, რომ კამათი ამ საქმეზე კვირას დაიწყება.

**კოპენჰაგენი.** ფრიდენბორგის ციხე-დარბაზის პარკში იმპერატორ ალექსანდრე მე-III ძეგლის საძირკველი ჩაჰყარეს. ძეგლს აკურთხებენ 26 მარტს, მეფის ქრისტიანის მე-85 წლის თავის დღეს.

**პეკინი.** იუანშიკაიმ ჯარი გაჰგზავნა ბოქსიორების წინააღმდეგ გარდეში. გარდე პეკინიდან 100 მილის მანძილზე მდებარეობს. ბოქსიორები გაფანტეს, 12 მოჰკლეს; ტყვეებს თავები მოჰკვეთეს და იმათი თავები ხალხის საჩვენებლად დაჰკიდეს.

**კონსტანტინოპოლი.** პორტამ ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის ელჩებს ყველა იმ ღონისძიებათა სია შეატყობინა, რომელნიც შეასრულა კიდეც რეფორმების პროექტის თანახმად.

**მადრიდი.** „ჰერალდო“-ს ტელეგრამა იუწყება: მაროკოში ომს განაგრძობენ, ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან მეორე. სულთანის ჯარს ხალხი მოემატა, თუმცა კაბილების ნაწილი წინანდებურად ტახტის მაძიებლის მხარეს იბრძვის.

**ნიუ-იორკი.** ვილემსტადტიდან მოსული დეპეშა იუწყება: კოროს ახლო ვენესუელის მეამბოხეთ და მთავრობის ჯარს ძლიერი ბრძოლა მოუვიდათ. არ იციან, ბრძოლა რით გათავდა. რევოლუციონური პარტია არწმუნებს, ყველა აღმოსავლეთის ნავთ-სადგურები ორინოკოს შესართავიდან რიო-ხაჩომდე ჩვენ გვიჭირავსო.

**ბუხარესტი.** პირველმა მინისტრმა სტურძამ მიიღო მეფის სურათი, სპილოს ძვალზე დახატული და ძვირფასის თვლებით მორთული.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატაში გორდონი ემხრობა ბინსტას წინადადებას ჯარის რიცხვის შემცირების შესახებ და ამბობს, ინდოეთის დაცვისათვის საუკეთესო საშუალება ისაა, რომ იქ სამხედრო პოზიციები გამაგრდესო. ბოლოს ამბობს: ბალფურის განცხადების შემდეგ, კრანბორნმა გამოაცხადა, ინგლისსა და რუსეთს შუა მოლაპარაკება იყო გამართული იმ აზრით, რომ სპარსეთისა და ავღანისტანის თაობაზე შეთანხმება ჩამოეგდოთო. სიტყვა ეს შეთანხმებაა. თუ ამ ნაირ შეთანხმებას მიახწევენ, მაშინ ინდოეთში შესევის შიში აღარ გვექნება და აღარც ღონისძიების მიღება იქმნება საჭიროო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. დალმაციის სლავიანთა დეპუტატების საჩივრის გამო კერბერი იმეორებს, რომ რუსეთი და ავსტრო-უნგრეთი ერთად იცავენ ბალკანეთში მშვიდობიანობას; ამით ყოველივე ცხადდება და ნამდვილად ამაშიგა საერთო ინტერესიც. ორ უმთავრეს სახელმწიფოს შეთანხმება ბალკანეთში წესიერებისა და იქ არსებულ მდგომარეობის დასაცველად და ერობის მხრით მოწონებული თავის თავს ცხადჰყოფს. დალმაციის სლავიანთა დეპუტატთ უნდა იშრომონ თავისის ქვეყნის განვითარებისათვის და მთავრობაც ამაში ყოველსავე დახმარებას აღმოუჩენს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სოციალისტი სემბა იმის სურვილს აცხადებს, რომ დელკასემ ხელი შეუწყოს ჰააგის სამედიატორო სასამართლოს მნიშვნელობის აღმატებას. საფრანგეთი უნდა პირობით შეეკრას ინგლისსა, იტალიასა და ესპანიას, რომ შემდეგში ვალდებულნი გახდნენ და ყოველივე სადავო საგანი ჰააგის სამედიატორო სასამართლოს გადასცენ გადასაწყვეტად.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ვარნადან ატყობინებენ: დანევმა გამოაცხადა, რომ სამინისტრო კრიზისი არ არისო. კაბინეტს ის კი არ უნდა, პაპრიკოვი სამსახურიდან გადადგეს, ხოლო იმას ითხოვს, ოფიცრებს ნება არ მისცეს მაკედონელებს თანაგრძნობა გამოუცხადონ, რომ ამ გზით მთავრობის გულწრფელობის შესახებ ყოველივე ეჭვი მოისპოს. სასურველია, სამხედრო სურსათის შეძენა რამდენსამე ხანს გადაიდოსო.

**ლონდონი.** გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს ნიუ-იორკიდან სწერენ: ამერიკის რესპუბლიკების დიპლომატიურ წარმომადგენელთა თანადასწრებით, სენატორად ყოფილმა დევისმა გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტში მოხსენება წაიკითხა იმ პროექტის შესახებ, რომლითაც ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები რკინის გზით უნდა შეუერთდნენ სამხრეთ-ამერიკას. ამ გზის სათავე მექსიკის რკინის გზათა სამხრეთ ბოლოში უნდა იქმნეს, შუა ამერიკა უნდა გადაიაროს, ბოლივიას უნდა მიადგეს და არგენტინა, პარაგვაი და ურუგვაი გაიაროს. ტოტები უნდა გაიტანონ ბრაზილიასა და ჩილის, შეიძლება კოლუმბიასაც და კარაკასზე.

**ლისაბონი.** ინგლისის მეფე 21 მარტს აქ მოვა ოთხის დღით.

**მოსკოვი.** საგუბერნიო კომიტეტი არ შეეხო ფულის სისტემის გარჩევას, რადგან ეს საკითხი რთულია, მაგრამ იმის სურვილი კი გამოსთქვა, რომ სახელმწიფო ხარჯებს რაც გადარჩება, იქიდან რამდენიც შესაძლებელი იქმნება მეტი ნაწილი სასოფლო მეურნეობის გაძლიერებას მოახმარდეს; მიწის მფლობელობის გამო სადავო საქმეები უფრო მარტივად და იაფად იქმნეს წარმოებული სასამართლოებში; სასოფლო და საერო სასამართლოები გაფართოვებულ იქმნეს; მიწის მფლობელობის დარღვევის შესახებ საჩივრების დაწყების ვადა მეტი იქმნეს; ცხენების ქურდობის მოსასპობად შემოღებულ იქმნეს ცხენებისათვის პასპორტი და მწყემსთაგან შემდგარი პასუხის მგებელი ამხანაგობანი; ბაღებისა და ბოსტნების გაქურდვისათვის სასჯელი მეტი იქმნეს შემოღებული.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. იარაღის დაურის შესახებ დელკასე აცხადებს, რომ საფრანგეთმა არ უნდა ითავოს ეს საქმე; ყოველს შემთხვევაში მე არ ვიკისრებდი ამასაო. სიხარულით მივეგებებოდი, ჰააგის სამედიატორო სასამართლო რომ ფართოდ განვითარდეს, მაგრამ დიდ ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავისის ინტერესების უზრუნველყოფა, თუ ამას მძლავრ მხედრობაზე დაამყარებს. მაკედონიის შესახებ დელკასემ სთქვა: საფრანგეთი გუშინდელ დღიდან არ ჰმუშაობს იმისათვის, რომ ოსმალეთი რეფორმების შემოღებაზე დაიყოლიოს. ევროპაში თანხმობის დასაცველად, საფრანგეთმა უნდა ის პოლიტიკა განაგრძოს, რომელსაც დიდი ხანია ემსახურება. ამ პოლიტიკის სიბრძნემ საფრანგეთი რუსეთთან დაკავშირებამდე მიიყვანა. რიბომ განმარტა, რომ რუს-ფრანგთა კავშირი საფრანგეთის პოლიტიკის ერთი საიმედო საფუძველია. ორატორმა გამოსთქვა, გულითადი განწყობილება დავიჭიროთ ინგლისთან და თანახმაც ვარ, ასეთივე განწყობილება გერმანიასთან გვქონდეს, მაგრამ ისე, რომ საფრანგეთის იმედები არ გაცრუვდეს; მოიწონა ის მდგომარეობა, რომელიც დელკასემ მაკედონიის საქმეებში დაიჭირა. კამათის დასრულების შემდეგ, პალატამ ერთ-ხმად მოიწონა მთავრობის განმარტება და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგა.

### 28 თებერვალი.

„გაზ. „ნორდ დოიჩე ცაიტუნგ“-ი აღნიშნავს მანიფესტს, როგორც ახალს დამამტკიცებელს საბუთს იმისას, რომ იმპერატორი ნიკოლოზი უმაღლესად ჰხედავს ხალხის კეთილ დღეობისადმი თავისს მოვალეობას და ხელმწიფე იმპერატორის მეფობის ჰუმანიური ხასიათი ცხადად მტკიცდება იმათი, რომ განსაკუთრებით აღნიშნება სხვა სჯულის აღმსარებელთა შეგუება. გაზეთი დარწმუნებულია, რომ გერმანიაში წრფელის გულითა და თანაგრძნობით ადევნებენ თვალს დიდისა და მშვიდობიანის საქმის განვითარება-აღყვავებას.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის ცნობებით, იმ 800 ბოლგართაგან, რომელნიც პოლიტიკურ დამნაშაობისათვის სასჯელს იყვნენ მიცემულნი, 600 კაცი საპყრობილეში იყვნენ და მცირე აზიას იყვნენ გასაგზავნი, მაგრამ ყველა ესენი გაანთავისუფლეს. სერესს წასულმა კომისიამ ბოლგარიიდან დაბრუნებულ ემიგრანტებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს დანგრეულ სახლკარის აღდგენაში.

**ირკუტსკი.** აქ მოვიდა ახალ-ციმბირის კუნძულებიდან დაბრუნებული ზოოლოგი ბელინეცკი-ბირული, ბარონ ტოლის ექსპედიციის მონაწილე.

**პეტერბურგი** „ფინლანდსკი გაზეტა“-ში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ დროებით შემდეგი დაწესდეს: სამხედრო საბეგრო საკრებულოს სხდომა ფინლანდიაში კანონიერად ჩაითვალოს, თუ სხდომას თავმჯდომარე და ორი წევრი დაესწრნენ და ჯარში გაწვეულთა შესამოწმებლად ერთი ექიმი.

„პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრის სახელობაზე უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ 1890-1892 წლებში გამოცემული რკინის გზათა $4^{1}/_{2}\,{}^{0}/_{0}$-ანი ობლიგაციები და აგრეთვე 1893 წელში გამოცემული შინაგანი სესხი ვადაზე ადრე შეისყიდოს და ამ ობლიგაციების მაგიერ სახელმწიფოს $4^{0}/_{0}$ რენტა მიეცეთ. გამოცხადებულია აგრეთვე მინისტრის განკარგულება, რა წესითა და პირობით უნდა მოხდეს ასეთი ვადაზე ადრე შესყიდვა ობლიგაციებისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ყორაპანამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ყორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

# განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

**კიოსკში,**

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი. | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნჭული—დ. მაჩხანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა. | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა. | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე. მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 28 Февраля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)